საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

№ 03/3633-18 "12" 11 2018 წ

შპს „თელნეტს"

შეტყობინება

გატყობინებთ, რომ 2018 წლის 8 ნოემბერს დანიშნული სხდომა გადაიდო და გაიმართება 2018 წლის 22 ნოემბერს, 15:00 საათზე, მისამართზე: 0144 ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ./ზოჭორმის ქ. N50/18. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია") სხდომაზე განიხილება შპს „თელნეტისთვის" ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი, მის მიერ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტების, მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის N144/22 გადაწყვეტილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ცნობისა და სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" კომისიის 2016 წლის 11 თებერვლის N95/19 გადაწყვეტილების, „რეგულირების საფასურის განსაზღვრისა და გადახდის წესის შესახებ" კომისიის 2005 წლის 28 ოქტომბრის N12 დადგენილების დარღვევის გამო (საფუძველი: კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2018 წლის 3 ოქტომბრის Nშ-10/5081-18 მოხსენებითი ბარათი და კომისიის აპარატის ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითერების დაპარტამენტის 2018 წლის 19 ოქტომბრის Nშ-10/5440-18 სამსახურებრივი ბარათი).

ასევე, გიგზავნით ადმინისტრაციული წარმოების დამატებით მასალებს - კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის სამსახურებრივ ბარათს (შ-10/5961-18, 12.11.2018) და კომისიის აპარატის ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის სამსახურებრივ ბარათს (შ-10/5962-18, 12.11.2018).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღია 2018 წლის 2 ნოემბერი. ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, შპს „თელნეტს" უფლება აქვს კომისიას წარუდგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოს ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში, ამასთანავე გაცნობებთ, რომ თქვენი წარმომადგენლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში კომისია განიხილავს საკითხს თქვენს დაუსწრებლად.

დანართი:

1. კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის სამსახურებრივი ბარათი (შ-10/5961-18, 12.11.2018) – 1 ფურც.;
2. კომისიის აპარატის ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათი (შ-10/5962-18, 12.11.2018) – 1 ფურც.

კომისიის ადმინისტრაციის უფროსი **იოსებ ხარებავა**

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის
აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის
წამყვან სპეციალისტს
ქალბატონ თამარ გოშუას

ამავე კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსის მ/შ
ნატალია ჯანელიძე

სამსახურებრივი ბარათი

ქალბატონო თამარ,

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2018 წლის 03 ოქტომბრის №შ-10/5081-18 მოხსენებითი ბარათთან დაკავშირებით დამატებით გაცნობებთ, რომ შპს „თელნეტმა" კომისიაში წარმოადგინა 2018 წლის ივლისის, აგვისტოს, სექტემბრის და ოქტომბრის თვის რეგულირების საფასურის გაანგარიშების 1,9 ფორმები (ნულოვანი) და კომპანიას წარმოდგენილი გაანგარიშებების შესაბამისად კომისიის ანგარიშზე არ ჩაურიცხავს რეგულირების საფასურის დავალიანება 22.66 ლარი.

პატივისცემით,

ნატალია ჯანელიძე
12.11.2018

შ-10/5961-18
12

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული
კომისიის აპარატის სამართლებლივი
დეპარტამენტის სპეციალისტს

თამარ გოშუას

ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული
განვითარების დეპარტამენტის წამყვანი
სპეციალიტის

თამარ მარღანიას

სამსახურებრივი ბარათი

გაცნობებთ, რომ 2018 წლის 12 ნოემბრის მდგომარეობით შპს "თელნეტმა" კომისიის საერთო სტატისტიკურ ბაზაში წარმოადგინა ელექტრონული ანგარიშგების ფორმები.

პატივისცემით,

თ. მარღანია

№ 7-10/5962-18
12 11 2018
1